


ხარისხის
მართვა

აუდიტის ხარისხის შემოწმების შედეგები



ცდომილებები სტანდარტის ჯგუფების მიხედვით



- 200-299 ზოგადი პრინციპები და პასუხისმგებლობები
- 300-499 რისკის შეფასება და შეფასებულ რისკებზე რეაგირება
- 500-599 აუდიტორული მტკიცებულება
- 600-699 სხვების მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება
- 700-799 აუდიტორული დასკვნები და დასკვნის შედგენა

სტანდარტები	რაოდენობა
ასს 500 - აუდიტორული მტკიცებულება	639
ასს 220 - ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი	72
ასს 230 - აუდიტის დოკუმენტაცია	71
ასს 240 - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით	61
ასს 200 - დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	60
ასს 250 (გადასინჯული) - კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს	60
ასს 550 - დაკავშირებული მხარეები	56
ასს 540 - სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი	53
ასს 315 (გადასინჯული) - არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით	51
ასს 520 - ანალიზური პროცედურები	51

ასს
ცდომილებები
სტანდარტების
მიხედვით



სტანდარტები	რაოდენობა
ასს 580 - ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია	49
ასს 300 - ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა	48
ასს 530 - აუდიტორული შერჩევა	48
ასს 260 (გადასინჯული) - მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება	46
ასს 265 - მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და ხელმძღვანელობის ინფორმირება შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ	46
ასს 450 - აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შეფასება	43
ასს 330 - აუდიტორის პროცედურები შეფასებულ რისკებზე რეაგირებისათვის	42
ასს 560 - შემდგომი მოვლენები	42
ასს 501 - აუდიტორული მტკიცებულება - სპეციფიკური საკითხების გათვალისწინება შერჩეული მუხლებისათვის	37

ასს
ცდომილებები
სტანდარტების
მიხედვით



სტანდარტები	რაოდენობა
ასს 570 (გადასინჯული) - ფუნქციონირებადი საწარმო	36
ასს 320 - არსებობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს	33
ასს 505 - გარეშე მხარეების დადასტურება	29
ასს 510 - პირველი აუდიტორული გარიგება – საწყისი ნაშთები	16
ასს 210 - აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება	14
ასს 700 (გადასინჯული) - მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	12
ასს 705 (გადასინჯული) - მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში	10
ასს 600 - სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)	9
ასს 710 - შესადარისი ინფორმაცია - შესაბამისი ციფრები და შესადარისი ფინანსური ანგარიშგება	1

ასს
ცდომილებები
სტანდარტების
მიხედვით

ასს 500

„აუდიტორული
მტკიცებულება“


მოთხოვნები

- აუდიტორმა უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები
- აუდიტორმა უნდა განაახლოს იმ ინფორმაციის შესაბამისობა და საიმედოობა, რომელს გამოიყენება ხდება აუდიტორული მტკიცებულების სახით
- განახორციელოს შერჩევა ტესტირებისათვის საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად
- განსაღვროს როგორ შეცვალოს ან დაამატოს აუდიტორული პროცედურები, თუ სახეზეა აუდიტორული მტკიცებულებების შეუსაბამობა, ან არსებობს ეჭვი აუდიტორული მტკიცებულებების საიმედოობაზე

ასს 220
„ფინანსური
ანგარიშგების
აუდიტის
ხარისხის
კონტროლი“

მოთხოვნები

- გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია აუდიტის ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე
- გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია უზრუნველყოს სათანადო ეთიკური მოთხოვნები მათ შორის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია დამოუკიდებლობასთან
- გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია დაკმაყოფილებულ იყოს მოთხოვნები რომელიც დაკავშირებულია დამკვეთებთან ურთიერთობის დამყარებასთან ან გაგრძელებასთან, კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასთან თუ არსებულის გაგრძელებასთან
- გარიგების პარტნიორი ვალდებულია უზრუნველყოს გარიგებისთვის საჭირო რესურსები
- გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მონიტორინგზე და უზრუნველყოფაზე
- გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია დოკუმენტაციაზე



ასს 220
„ფინანსური
ანგარიშგების
აუდიტის
ხარისხის
კონტროლი“

მოთხოვნები

გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია გარიგების შესრულების ხარისხზე, რაც მოიცავს:

- ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მიმოხილვას
- კონსულტაციის პროცედურებს
- გარიგების ხარისხის მიმოხილვას
- აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში სათანადო პროცედურების ჩატარებას



შემოწმების შედეგად გამოვლენილი ცდომილებები და შესაბამისი სტანდარტები

აუდიტის სტანდარტი

ასს 220 „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“

გამოვლენილი შეუსაბამობა

- გარიგების პარტნიორის არასაკმარისი ჩართულობა
 - აუდიტის პარტნიორის ჩართულობის არასათანადო ფორმალიზება რაც დაადასტურებს პარტნიორის ჩართულობას აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებზე
 - კონსულტაციის არ არსებობა მნიშვნელოვან ტექნიკურ საკითხებზე
-

ასს 230 „ აუდიტის დოკუმენტაცია“

მოთხოვნები

აუდიტის დოკუმენტაციის დროული
მომზადება

დოკუმენტაცია ჩატარებული აუდიტის
პროცედურებისა და მოპოვებული
აუდიტის მტკიცებულებების შესახებ

აუდიტის საბოლოო ფაილის
დაკომპლექტება



შემოწმების შედეგად გამოვლენილი ცდომილებები და შესაბამისი სტანდარტები

აუდიტის სტანდარტი

ასს 230 - „აუდიტის დოკუმენტაცია“

გამოვლენილი შეუსაბამობა

- აუდიტის მტკიცებულებების და სამუშაო ფაილების არადროული დოკუმენტირება
- შესაძლოა მტკიცებულებები მოპოვებულ იქნე აუდიტის დაკსვნის გამოშვების შემდგომ



ასს 240 „ აუდიტორის
პასუხისმგებლობა
ფინანსური
ანგარიშგების
აუდიტში
თაღლითობასთან
დაკავშირებით“

მოთხოვნები

შეინარჩუნოს პროფესიული სკეპტიციზმი

განხილვა გარიგების გუნდის წევრებს შორის

განსაზღვროს რისკის შესაფასებელი პროცედურები
და დაკავშირებული ქმედებები

უზრუნველყოს თაღლითობის მიზეზით
გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების
დადგენა და შეფასება

განახორციელოს საპასუხო ქმედებები
თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის
შეფასებულ რისკებზე

ასს 240 „ აუდიტორის
პასუხისმგებლობა
ფინანსური
ანგარიშგების
აუდიტში
თაღლითობასთან
დაკავშირებით“

მოთხოვნები

აწარმოოს აუდიტორული მტკიცებულებების შეფასება

შეაფასოს აუდიტორის მიერ გარიგების გაგრძელების
შესაძლებლობა

მოიპოვოს ხელმძღვანელობისგან ოფიციალური წერილობითი
ინფორმაცია

უზრუნველყოს ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე
პასუხისმგებელი პირების ინფორმირება

უზრუნველყოს მარეგულირებელი და სამართლდამცავი
ორგანოების ინფორმირება

დოკუმენტაცია

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ცდომილებები და შესაბამისი სტანდარტები

აუდიტის სტანდარტი

ასს 240 „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“

გამოვლენილი შეუსაბამობა

- მოხდა რისკების ზოგადი იდენტიფიცირება, თუმცა არ მომხდარა რისკების გაწერა ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეზე ოპერაციების კატეგორიებისთვის, ანგარიშთა ნაშთებისთვის და განმარტებითი შენიშვნებისთვის
- არასაკმარისი დოკუმენტირება თუ რატომ არ მიიჩნია აუდიტის გუნდმა შემოსავლის გადამეტების რისკი მნიშვნელოვად რისკად
- უგულებელყოფა რომ ყველა გარიგებაში არსებობს არის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების გადამეტების რისკი.
- გატარებების ზოგადი ტესტი - „არ არის ჩატარებული ზოგადი ტესტი გატარებებზე ეგრეთ წოდებული “journal entry test” (JET), რაც ემსახურება თაღლითური რისკის მქონე გატარებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი პროცედურების ჩატარებას, რათა მოხდეს საკმარისი რწმუნების მიღება, რომ კომპანია ან კომპანიის მენეჯმენტი არ ახდენს თაღლითური გატარებების გაკეთებას.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ცდომილებები და შესაბამისი სტანდარტები

აუდიტის სტანდარტი

ასს 510 „პირველი აუდიტორული გარიგება - საწყისი ნაშთები“

გამოვლენილი შეუსაბამობა

- წინა აუდიტორთან კომუნიკაციის არარსებობა
- საწყის ნაშთებზე არასაკმარისი აუდიტორული პროცედურების ჩატარება

ასს 320 „არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს“

- არ მომხდარა ფინალურ ეტაპზე არსებითობის გადახედვა და დამატებითი აუდიტორული პროცედურების განხორციელების საჭიროების შეფასება

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ცდომილებები და შესაბამისი სტანდარტები

აუდიტის სტანდარტი	გამოვლენილი შეუსაბამობა
ასს 560 „შემდგომი მოვლენები“	<ul style="list-style-type: none">• ბალანსის შემდგომ მოვლენებზე არასაკმარისი პროცედურების ჩატარება / ან არასათანადო დოკუმენტაცია• ჩატარებული პროცედურები არ ფარავდა ანგარიშგების გამოშვებამდე პერიოდს ან არ არის სათანადოდ გახსნილი ფინანსური ანგარიშგებაში
ასს 580- „ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია“	<ul style="list-style-type: none">• წარმომადგენლობითი წერილი არ არის განახლებული აუდიტის მოსაზრების თარიღისთვის. წარმომადგენლობითი წერილი უნდა ყოფილიყო მოსაზრების თარიღთან რაც შეიძლება ახლო თარიღით მოპოვებული

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ცდომილებები და შესაბამისი სტანდარტები

აუდიტის სტანდარტი

ასს 250 „კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიგების აუდიტის დროს“

გამოვლენილი შეუსაბამობა

- მმართველობის ანგარიშთან დაკავშირებით განხორციელებული აუდიტორული პროცედურების დოკუმენტირების არ არსებობა/არასათანადო დოკუმენტაცია
- აუდიტორული პროცედურების დოკუმენტაციის არარსებობა რომელიც აუდიტორმა განახორციელა ინფორმაციის/ანგარიშგების პორტალზე დადასტურებისათვის.

კითხვები

?

ძირითად ანგარიშებზე
ადმოჩენილი ხარვეზები

ნიმუში 1 - შემოსავლები

დაგეგმვის დოკუმენტირებიდან ნათლად არ ჩანს შემოსავლის რისკის დონის შეფასება.

მითითებულია რომ არის მაღალი რისკის, განსაკუთრებით „სისწორე“ (Accuracy), თუმცა შევსებულ ცხრილში ყველა მახასიათებელი (assertions) არის მონიშნული როგორც საშუალო ან დაბალი. აუდიტის გუნდის განმარტებით რისკი შეფასდა როგორც მაღალი, თუმცა დოკუმენტირებისას სხვადასხვა ადგილზე შეცდომით მონიშნა რისკის დონე და მიუხედავად ამისა აუდიტორული პროცედურები ჩატარდა მაღალი რისკის გათვალისწინებით.

საჭიროა აუდიტის ფაილში დაგეგმვის დოკუმენტირება იყოს ურთიერთთანხვედრილი და საკმარისად დეტალური, რათა არ მოხდეს არასწორი ან არასაკმარისი აუდიტორული პროცედურების განხორციელება.

ნიმუში 2 - შემოსავლები

შემოსავალზე თაღლითობის რისკის შეფასების დეტალური ანალიზი/დოკუმენტირება არ განხორციელებულა.

შევსებულია ზოგადი კითხვარი, თუმცა ეს კითხვარი არ არის საკმარისად დეტალური.

დარღვეულია შესაბამისობა ასს 240. 26-28

ნიმუში 3 - შემოსავლები

აუდიტორული პროცედურები/შერჩევები განხორციელებულია საბუღალტრო სისტემიდან ამოღებული გატარებების ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კორექტირებებში ფიქსირდება კლიენტის კორექტირება X ლარი, რაზეც ვერ იქნა მოძიებული აუდიტორის მიერ განხორციელებული სამუშაოს დოკუმენტირება. აუდიტის გუნდის განმარტებით ეს კორექტირება შესწავლილ იქნა, თუმცა აუდიტის დოკუმენტაციაში ფორმალიზება არ მოუხდენიათ.

ნებისმიერი მატერიალური კორექტირება, რომელიც გავლენას ახდენს შედეგებზე, აუდიტის გუნდის მიერ უნდა იყოს შესწავლილი და სათანადოდ დოკუმენტირებული.

ნიმუში 4 - შემოსავლები

აუდიტის გუნდის განმარტებით შემოსავლების cut-off-ის (დროში გამიჯვნის/მიკუთვნების) ტესტირებისთვის კომპანიაში დანერგილია მიდგომა, რაც გულისხმობს 15 დღის ოპერაციების ტესტირებას წლის დასრულებამდე და შემდეგ.

საჭიროა დადოკუმენტირდეს cut-off ის ტესტირებისთვის რამდენად მისაღებია/სწორია ესა თუ ის პერიოდი გარიგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ნიმუში 5 - შემოსავლები

შემოსავლების საბუღალტრო გატარებები ტესტირებისას დადარებულია პირველად დოკუმენტებთან, თუმცა არ ჩანს რომ გაიტესტა ტრანზაქციების კლასიფიკაცია და მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

ამ საკითხებზე არც სხვა რაიმე მსჯელობა არის წარმოდგენილი დოკუმენტაციაში.

შესაბამისად გაუგებარია შემოსავალზე იყო თუ არა რაიმე კორექტირების საჭიროება კლასიფიკაციასთან ან აღიარებასთან დაკავშირებით.

ნიმუში 6 - შემოსავლები

ანალიტიკური პროცედურებით გამოვლენილია ცვლილებები გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებში თვეების მიხედვით და წინა წელთან დადარების გზით, თუმცა ეს სხვაობები აღარ არის გამოკვლეული და ახსნილი და გაურკვეველია ამ ანალიზის გაკეთების მიზანი და საჭიროება.

გარუკვეველია აღნიშნული პროცედურებით მიღებული აუდიტორული მტკიცებულება.

ნიმუში 7 - შემოსავლები

შემოსავლების საბუღალტრო გატარებები შემოწმებისას დადარებულია პირველად დოკუმენტებთან. შერჩევის პროცედურაში არ არის დოკუმენტაცია 2 შერჩეულ პოზიციასთან დაკავშირებით რაც იძლევა სხვაობას, თუმცა ეს სხვაობა არ არის გამოკვლეული და ახსნილი.

შერჩევაში გამოვლენილი სხვაობა უნდა იყოს გამოკვლეული და ახსნილი, და თუ საჭიროება მოითხოვს გავრცელებული მთელს პოპულაციაზე. ასევე დადოკუმენტირებული, გამოვლენილი სხვაობა განაპირობებს თუ არა ანგარიშგებაში კორექტირებას.

ნიმუში 8 - შემოსავლები

აუდიტორული პროცედურები არ მოიცავს შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ კონტრაქტების ანალიზს, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ფასს 15-ის მოთხოვნებს და რამდენად შეესაბამება კომპანიის აღრიცხვა სტანდარტის მოთხოვნებს.

აუდიტის გუნდთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ რადგანაც მიმდინარე წელს ახალი დიდი ხელშეკრულება არ ქონდა კომპანიას დადებული ფასს 15-ის მიხედვით აღარ გაუანალიზებიათ ხელშეკრულებები.

არ არის სათანადოდ დადოკუმენტირებული და აუდიტის ფაილიდან არ ჩანს, რომ აუდიტორმა გაანალიზა მიმდინარე წლის შემოსავლები ფასს 15-ის მოთხოვნების ქრილში.

ნიმუში 9- შემოსავლები

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) წარმოადგენს არსებით ანგარიშს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის მოგება/(ზარალზე). კერძოდ ის არის მოგების 90%- ზე მეტი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გაშიფვრა თუ საიდან წამოიშვა აღნიშნული შემოსავალი და რისგან შედგება იგი. ასევე არ არის წარმოდგენილი აღნიშნული შემოსავლის სააღრიცხვო პოლიტიკა.

ნიმუში 10- მარაგები

შპს „ABC“-ს მარაგების ინვენტარიზაციაზე დასწრება და სატესტო გადათვლები განხორციელდა 2022 წლის ივლისში. 2021 წლის 31 დეკემბრის ნაშთზე გასვლის მიზნი უკან გადათვლის (Roll back) პროცედურები არ განხორციელებია უდიტორს და არც შესაბამისი მსჯელობა, თუ რატომ არ განხორციელდა უკან გადათვლის აუდიტორული პროცედურა, არ არის დადოკუმენტირებული.

აუდიტის გუნდის განმარტებით კლიენტს აქვს ავტომატური აღრიცხვის სისტემა და განხორციელდა გარკვეული დადარებები პროგრამის მონაცემებთან.

თუმცა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვების მიზნით საჭიროა უკან გადათვლის პროცედურის განხორციელების დოკუმენტირება.

ნიმუში 11 - მარაგები

მარაგის საწყის ნაშთან დაკავშირებით არ განხორციელებულა საკმარისი აუდიტორული პროცედურები (ახალი გარიგების შემთხვევა).

შესაბამისად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არ არის საკმარისი აუდიტორული მოსაზრების გამოსაცემად.

ნიმუში 12- მარაგები

შპს „ABC“ მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ანალიზი არ განხორციელებულა.

აუდიტის სამუშაო ფაილებში არ იყო მარაგების გაუფასურებასთან დაკავშირებული დოკუმენტირება (ნელა ბრუნვადი, მოძველებული, დაზიანებული და ა.შ).

აუდიტის გუნდის განმარტებით მარაგები ივსება შეკვეთის საფუძველზე და შესაბამისად მოძველებული მარაგები კლიენტს არ აქვს.

აღნიშნულის გადამოწმება და დოკუმენტირება უნდა მოხდეს აუდიტის ფაილში.

ნიმუში 13 - მარაგები

ანალიტიკური პროცედურებით გამოვლენილია ცვლილებები თვეების მიხედვით, ასევე მარაგების ნაშთები შედარებულია წინა წელთან, თუმცა ეს სხვაობები აღარ არის გამოკვლეული და ახსნილი და ბუნდოვანია ამ პროცედურის ჩატარების მიზანი და შედეგი და მისგან მიღებული აუდიტორული მტკიცებულება.

ნიმუში 14 - მარაგები

აუდიტის გუნდის მიერ არ იყო განხორციელებული მარაგების Cut-off (დროში მიკუთვნება/გამიჯვნა) ტესტირება, ასევე გზაში არსებული მარაგებთან დაკავშირებით აუდიტორული პროცედურები.

აუდიტის ფაილებში არ არის დადოკუმნტირებული რაიმე მსჯელობა თუ რატომ არ მოხდა ამ პროცედურების განხორციელება.

ნიმუში 15 - მარაგები

კომპანიამ ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია 201X წლის 20 მარტს, მაგრამ არ არის ჩატარებული პროცედურები ინვენტარიზაციის თარიღსა და საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღს შორის მარაგის მოძრაობაზე.

ასევე აუდიტის ფაილებში არ არის დადოკუმენტირებული თუ როგორ მოხდა შერჩევის დაგეგმვა და რა რაოდენობის მარაგის გადამოწმება მოხდა.

არსებობს *ინვენტარიზაციაზე დაკვირვების მემორანდუმი*, თუმცა აღნიშნული დოკუმენტიდან არ იკითხება რატომ მოხდა ამ კონკრეტულად რომელიმე პროდუქტის შერჩევა, და რატომ იყო მხოლოდ აღნიშნული პროდუქტის ინვენტარიზაცია საკმარისი, ასევე აუდიტის ფაილებში არ არის თანდართული შერჩეული პროდუქტების დეტალური სია და მისი შედარება საბუღალტრო მონაცემებთან.

ინვენტარიზაციაზე დაკვირვების მემორანდუმი ამბობს, რომ მოხდა მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოვლენა, თუმცა არ არის ამ დანაკლისის ფინანსური ანალიზი და ამ დანაკლისის ეფექტი მარაგების მთლიან ანგარიშზე.

ნიმუში 16 - მარაგები

აუდიტის ფაილებიდან ჩანს, რომ მარაგების აღრიცხვის მეთოდის (FIFO) სისწორეში დასარწმუნებლად კომპანიამ შეარჩია რამდენიმე დიდი ბრუნვის მქონე პროდუქტი და გარდა ამ ჩანაწერისა აუდიტის სამუშაო ფაილებში არ არის დადოკუმენტირებული შერჩევის მოცულობის დასაბუთება. დამხმარე ფაილებიდან ჩანს რომ კომპანიამ FIFO მეთოდის ტესტირებისთვის ჯამში 5 ერთეული შეარჩია.

მნიშვნელოვანია რომ მარაგების აღრიცხვის მეთოდის სისწორის შესამოწმებლად კომპანიას არ აქვს არჩეული კონტროლის სტრატეგია, რაც კომპანიის აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით აღნიშნული პროცესისთვის ითვალისწინებს 25 ერთეულის ტესტირებას.

ზემოთ აღნიშნული 5 ერთეულის შერჩევის საფუძველი არ არის დასაბუთებული და არ მიყვება კომპანიის აუდიტის მეთოდოლოგიაში გაწერილ შერჩევის მოცულობის და შემოწმების მოთხოვნებს.

ნიმუში 17 - ძირითადი საშუალებები

გაუფასურების ინდიკატორების ანალიზი არ არის დადოკუმენტირებული და არ ჩანს რა დასკვნა გამოიტანა აუდიტორმა იყო თუ არა გაუფასურების ინდიკატორები კლიენტისთვის რელევანტური, რის საფუძველზეც შემდგომ საჭირო იქნებოდა გაუფასურებაზე ტესტირება.

ნიმუში 18 - ძირითადი საშუალებები

ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკაში მითითებულია რომ შპს „ABC“ ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის იყენებს თვითღირებულების მეთოდს. აუდიტორის მოსაზრებაში გამოთქმულია პირობითი მოსაზრება გარკვეული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებით წარუდგენლობასთან დაკავშირებით.

პირობით მოსაზრებასთან დაკავშირებული მსჯელობა/დოკუმენტირება ვერ იქნა მოძიებული აუდიტის ფაილში. ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკით კომპანიას აქვს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მეთოდი, შესაბამისად გაუგებარია პირობითი მოსაზრების შინაარსი და რელევანტურობა ამ კონტექსტში მოცემული საფუძვლით.

აუდიტის ფაილში კომპლექსურ საკითხებზე, მათ შორის აუდიტორის მოსაზრების მოდიფიკაციის საკითხებზე მსჯელობაუნდა იყოს სიღრმისეულად ახსნილი.

ნიმუში 19 - ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში არ არის წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების მოძრაობა შესაძარის პერიოდზე, რაც არის სავალდებულო ინფორმაცია ბასს 16-ის შესაბამისად.

ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სისრულის შემოწმება არ არის დადოკუმენტირებული, ასევე არ არის გაანალიზებული ფინანსურ ანგარიშგებაში არასრული ინფორმაციის წარდგენის გავლენა აუდიტორის მოსაზრებაზე.

ნიმუში 20 - სხვა ანგარიშები

აუდირებულ კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანება დაკავშირებულ მხარესთან. აუდიტის გუნდის მიერ არ არის გაანალიზებული რის საფუძველზე წარმოიშვა აღნიშნული დავალიანება და აქვს თუ არა დაკავშირებულ მხარეს დავალიანების დაფარვის ფინანსური შესაძლებლობა. არ არის დეტალური ანალიზი, საჭიროა თუ არა აღნიშნულ ნაშთზე ანარიცხის გაკეთება, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ასევე იმ სასესხო ვალდებულებებზე რომელიც მიღებულია დაკავშირებული მხარისაგან, არაა გაკეთებული ანალიზი, თუ რამდენად საბაზრო პირობების შესაბამისად მოხდა აღნიშნული სესხის აღება და შემდგომი აღრიცხვა.

მიუხედავად იმისა, რომ გაცემული ავანსები არის არსებითობაზე მეტი, ფაილში არ არის დადოკუმენტირებული თუ როგორ მოხდა აღნიშნულ მუხლზე საკმარისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება. რაც ზრდის არსებითი უზუსტობის ქონის რისკს.

ნიმუში 20 - სხვა ანგარიშები

იურისტის საპასუხო წერილში მიმდინარე დავების შესახებ აღნიშნულია ორი მიმდინარე შრომით-სამართლებრივი დავა, რომელიც იმყოფება უზენაეს სასამართლოში და ერთ-ერთ მათგანს აქვს შემდეგი სტატუსი „თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. აპელაციამ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. საჩივარი შეტანილია საკასაციო სასამართლოში. სასამართლომ დასაშვებად ცნო საკასაციო საჩივარი.“ მიუხედავად ასეთი ჩანაწერისა იურისტის წერილში მითითებულია, რომ აღნიშნულ დავებს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ აქვს.

აუდიტის სამუშაო ფაილებში არსებობს მემო, რომელიც ასევე ამბობს რომ აღნიშნულ დავას არ აქვს გავლენა ფინანს ანგარიშგებაზე, თუმცა არ არის დასაბუთებული თუ რატომ ეთანხმება იურისტის პოზიციას, რატომ არ მომხდარა აღნიშნული დავების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა და რამდენად შესაბამისობაში ეს გადაწყვეტილება ბასს 37- ის მოთხოვნებთან.

კითხვები

?